№ 1320
ეროვნული ბიბლიოთეკა
F 2/4

# ქართული



# სახელმძღვანელო ნოტებისა

ანუ

## ნოტების პირველ დასაწყისი ან-ბანი

შედგენილი არხიდიაკვნის
იოსებ შარაბიძის-მიერ

FS 1320

ტფილისი
1890

Дозволено Цензурою Тифлисъ 31-го Августа 1890 года

Типо-Лит. К. Месхіева и С. Полетаева

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ს ა თ ა უ რ ი.

1, რა არს ნოტები?
2, რამდენნი არიან ნოტები და რა სახის?
3, რაზედ იწერებიან ნოტები?
4, როგორ ითვლებიან ხაზები?
5, გარდა ხუთი ხაზისა რა ხაზები იხმარება კიდევ?
6, როგორ ითვლებიან პატარა ხაზები?

## ნოტების სახელ-წოდება და მათი რიცხვი.

7, რა სახელ-წოდება აქვთ ნოტებს?
8, თუ მეშვიდე ნოტს ზევით გინდა ასწიო ხმით, როგორ უნდა მოიქცე?

## გ ა ს ა ღ ე ბ ი.

9, რა არის გასაღები?
10, რამდენი არის გასაღები?
11, რომელ ხაზებზედ იწერებიან გასაღებნი და რა სახისანი არიან?
12, რა სახელები ჰქვიანთ გასაღებებს?
13, ამ გასაღებებთაგანი რომელი უფრო საჭიროა?
14, საიდან იწყება ნოტი საერთო გასაღებისა?
15, ეს ნოტები რომელ ადგილებზე დგანან?
16, რანაირის ხმით უნდა აიღო პირველი ნოტი «დო»?
17, სხვა ნოტები რანაირის ხმით უნდა აიღო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოტების დაყოფილება.

18 რამდენ ნაწილად დაიყოფებიან ნოტები?

გამაჩუმებელი ნიშნები. (პაუზა)

19, რა უნდა ჰქნა, როდესაც რომელიმე გამაჩუმებელი ნიშნები შეგხვდება გალობაში.

წერტილის მნიშვნელობა გალობაში?

20, რა მნიშვნელობა აქვს წერტილს მუზიკაში?

რა საზომებით იწერებიან საგალობლები?

21, გერგილი, ანუ ტაკტი?
22, რით განიყოფება ერთი გერგილი მეორისაგან?
23, ნოტების საცვლელი ნიშნები?
24, კამერტონი?
25, ინტერვალები?
26, ვარჯიშობა ნოტებში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინასიტყვაობა.

ორმა გარემოებამ გამოიწვია ამა ქართული ნოტების გრამატიკისა და ანბანის შედგენა.—პირველი ის არის, რომ დღეს საეკკლესიო წირვის წესები და რამოდენიმე საეკკლესიო საგალობელი უკვე გადაღებულია ნოტებზე, ერთი იმერულს კილოზე და მეორე ქართლ-კახურზე. გარდა ამისა დაბეჭდილიც არის ქართულს ენაზე რამოდენიმე საერო სიმღერა. როგორც რომ წიგნის წამკითხველმა ჯერ ანბანი უნდა იცოდეს, ისე ნოტებზე გადაღებულ საგალობლის წამკითხველმა ჯერ ნოტების გრამატიკა და ანბანი უნდა იცოდეს, თორემ მისთვის ნოტებზე გადაღებული ისეთივე გამოცანაა, როგორც უცნობ ენაზე დაწერილი წიგნის წაკითხვა მსურველისათვის. მეორე გარემოება ის არის, რომ ქართული გალობის სწავლება დღესაც სავალდებულოა ზოგ-ზოგ სკოლებში და, შეიძლება, შემდეგში, უფრო გავრცელდეს ეს სწავლება, რადგან სკოლები ჩვენში თან-და-თან მრავლდებიან. როგორც რომ მარტოკა სიტყვიერათ, ზეპირ ლაპარაკი საკმაო არაა და მასთანავე ფრიად საჭიროა წერა-კითხვის ცოდნა, აგრეთვე საკმაო არ არის სიმღერ-გალობის ხმით სწავლება. მოსწავლემ, რა თქმა უნდა, ისიც უნდა იცოდეს, თუ რომელი ხმა რა წესს ემორჩილება და რომელი ნოტებზე გადაღებული საგალობელი რა წესით უნდა იგალობოს. ამისთვის საჭიროდ დავინახე პირველ დაწყებითი სახელ-მძღვანელოს შედგენა, და, ვგონებ, ამისთვის არვინ გამკიცხავს. სახელმძღვანელოს ტექსტი, რაც შეიძლებოდა, დაბიურ ენაზე შევადგინე, რომ ჩვენ ქართველ ერმათათვის უფრო ადვილი გასაგები ყოფილიყოს.

ი. შარაბიძე.

# ნოტები

ნოტები არიან სამუსიკო ნიშნები, რომელთა შემწეობით ჩვენ შე-გვიძლია ვიგალობოთ კანონიერად და დავუკრათ საკრავებზედაც.

ნოტები არიან სხვა და სხვა ნაირნი და აქვსთ შემდეგი სახენი:

 და სხვანი. . . .

ეს ნოტები იწერებიან ხუთ ხაზზედ და იმათ შუაც, ასე:

1) 

2) 

ეს ხაზები ითვლებიან ქვეიდამ ამ ნაირად: პირველი ხაზი, პირველ ხაზს ზევით, მეორე ხაზი, მეორე ხაზს ზევით, მესამე ხაზი, მესამე ხაზს ზევით, მეოთხე ხაზი, მეოთხე ხაზს ზევით და მეხუთე ხაზი.

რადგანაც ყველა ხმები არ შეიძლება გამოხატოს კაცმა მარტო იმ ნოტებით, რომელნიც დაწერილნი არიან ხუთ ხაზზედ, ამიტომ, გარდა ხუთის ხაზისა, კიდევ იხმარებიან პატარა მისახმარებელი ხაზები, როგორც ზევით, ისე ქვეით, ამათზედ იწერებიან ნოტები მაღლა და დაბალ ხმებისთვის ამ ნაირად:

3) 

4) 

ეს პატარა ხაზები, მაღლა ნაჩვენები, ითვლებიან ასე: მეხუთე ხაზს ზევით, მეექვსე ხაზზედ, მეექვსე ხაზს ზევით, მეშვიდე ხაზზედ, მეშვიდე ხაზს ზევით და სხ. პატარა დაბალი ხაზები ითვლებიან ასე: პირველ ხაზ ქვეით; პირველ მისახმარებელ ხაზზედ, პირველ მისახმარებელ ხაზს ქვეითი, მეორე მისახმარებელ ხაზზედ, მეორე მისახმარებელ ხაზს ქვეითი და სხ.

## ნოტების სახელ-წოდება და მათი რიცხვი.

ნოტებს როგორც სხვა-და-სხვა ადგილები უკავიათ ხაზებზედ და ხაზებს შუაც, აგრეთვე მათ აქვთ სხვა-და-სხვა სახელ-წოდებაც, რომელნიც არიან შვიდნი შემდეგნი: 1) დო, 2) რე, 3) მი, 4) ფა, 5) სოლ, 6) ლა, 7) სი,

თუ მეშვიდე ნოტს ზევით გინდა ასწიო ხმა, მაშინ უნდა გაიმეორო ისევ თავიდან ესევე ნოტები; მაშასადამე მერვე ნოტი იქნება «დო», მეცხრე «რე», მეათე «მი», და სხვა, რომელნიც იწოდებიან მაღალ ნოტებად.

## გ ა ს ა ღ ე ბ ი.

გასაღები არის სამუსიკო ნიშანი, რომელიც იწერება ყოველი საგალობლის დასაწყისში და სახელს არქმევს მის შემდეგ დაწერილს ნოტებს.

გასაღები არის ხუთი: ბანის (ბასის), მაღალი ბანის (ტენორის), ზილის (ალტის), წვრილის (დისკანტის), და საერთო ხმის. ეს გასაღებები იწერებიან სხვა და სხვა ხაზებზედ და აქვსთ სხვა და სხვა სახელებიც და ამნაირი სახე:




ამ გასაღებებს ჰქვია შემდეგი სახელები: ბანის გასაღებს ჰქვია «ფა», მაღალი ბანის, ზილის და წვრილის გასაღებებს ჰქვია «დო», და საერთო კლიტეს «სოლ»; ეს სახელები ჰქვიათ მათ იმისათვის, რომ რა ხაზებზედაც გასაღებები მევს, იმავე ხაზებზედვე არიან ზემო მოხსენებულნი ნოტები «ფა», «დო» და «სოლ» ასე:

7)



ზემო მოხსენებულ გასაღებთაგანში უფრო საჭირო არის საერთო ხმის გასაღები, რადგანაც ამ გასაღების შემწეობით შეუძლიათ იმღერონ მაღალმა ბანმა, ზილმა და წვრილმა, შემდეგ ამ გასაღებისა საჭირო ბანის გასაღები. თუ სუყველა გასაღებების ნოტებს შეისწავლი, ეს უმჯობესი იქნება.

### საერთო გასაღების ნოტები.

საერთო გასაღების ნოტები იწერებიან ამ ნაირად:



დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი, დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა.

ეს ნოტები დგანან სხვა-და-სხვა ადგილებზედ, მაგ. „დო“ ძევს პირველ მისახმარებელ ხაზზედ, „რე“ პირველ ხაზს ქვეით, „მი“ პირველ ხაზზედ და ამ ნაირათ ადის მეექვსე ხაზამდე და სხ.

პირველი ნოტი „დო“ უნდა აიღო დაბალის ხმით, მეორე ნოტი „რე“ უნდა აიღო დო-ზედ ერთი ხმით მაღლა, „მი“ კიდევ რე-ზედ მაღლა და ამ ნაირათ უნდა შეჰყვე სანამდისინ შეგიძლიან ხმის აწევა, როგორც კიბეზედ შედიხარ მაღლა-მაღლა, ისე აქაც, რამდენი ზევით მიდიხარ, იმდენად თან-და-თან ხმა მაღლა უნდა უმატო; შემდგომ ზევიდგან ხმას თან-და-თან დაუშვებ, ქვევით, იმ წესითვე, რა წესითაც ხმა აუმაღლე.

### ნოტების დაყოფილება.

ნოტები არიან დაყოფილნი სხვა-და-სხვა ნაწილებათ, ასე:

1), 𝅝 ეს არის მთელი ნოტი.

2), 𝅗𝅥 „ „ ნახევარი „

3), 𝅘𝅥 „ „ მეოთხედი „

4), 𝅘𝅥𝅮 „ „ მერვედი და სხვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ ნოტში არის ორი ნახევარი ნოტი, ნახევარში ორი მეოთხედი, მეოთხედში ორი მერვედი და სხ... მთელი ნოტი რადგანაც სუყველაზედ უფროსია, ამისათვის ამ ნოტს უფრო დიდ-ხანს უნდა გაგრძელება ხმით; ნახევარ ნოტს უნდა ხმით გაგრძელება მთელ ნოტზედ ნახევრით ნაკლებ, ე. ი. რამდენ დროს მოანდომებ მთელი ნოტის გაგრძელებას, იმის ნახევარი დრო უნდა მოანდომო ნახევრის გაგრძელებას, მეოთხედი ნახევარზედ ნახევრით ნაკლებ უნდა გაუგრძელო, რამდენათ ნაკლებია ნოტი, ის უფრო ჩქარა სათქმელია და რამდენად უფროსია, იმდენად უფრო მეტი დრო უნდა მოანდომო ხმით მის გაგრძელებას; თითონ ამ ნოტების განყოფილება გიჩვენებს, რომელი ნოტი რამდენ ხანს უნდა გაუგრძელო ხმით.

## გამაჩუმებელი ნიშნები. (პაუზა.)

გამაჩუმებელი ნიშნები არიან სამუსიკო ნიშნები, სახმარებელი გალობაში ამ ნაირნი:

1 $\frac{1}{2}$ $\frac{1}{4}$ $\frac{1}{8}$ $\frac{1}{16}$

10) 


როდესაც ჰგალობ და უცბად შეგხვდა რომელიმე ამ ნიშნებთაგანი, უნდა შეჩერდე, ანუ გაჩუმდე ამდენს ხანს: თუ შეგხვდა ნიშანი მეოთხე ხაზს ქვეშ გასმული, ეს ეთანასწორება მთელ ნოტს და უნდა იყო გაჩუმებული იმდენს ხანს, რამდენსაც უნდები მთელის ნოტის ხმით გაგრძელებას.

მესამე ხაზზედ რომ ნიშანია, ის ეთანასწორება მთელი ნოტის ნახევარს და უნდა შეაჩერო ხმა იმდენს ხანს, რამდენსაც უნდები ნახევრის ნოტის ხმით გაგრძელებას. მესამე ნიშანი ეთანასწორება ერთ მეოთხედ ნოტს, მეოთხე — ერთ მერვედს და მეხუთე ერთ მეთექვსმეტედს. — რაც ნაკლებია გასაჩუმებელი ნიშანი უფრო ცოტა ხნით უნდა შეჩერდე.

## წერტილის მნიშვნელობა მუსიკაში.

წერტილს მუსიკაში ის მნიშვნელობა აქვს, რომ თუმც რომელსამე ნოტს მარჯვნივ წერტილი უზის, მაშინ იმ ნოტს, ამ წერტილის მომატებით ემატება კიდევ ნახევარი თითონ ნოტისა. თუ ნახევარ ნოტს უზის წერტილი ასე—𝅗𝅥., მაშინ ნახევრით მეტი უნდა გაგრძელება, ე. ი. ორი ხელის დაქნევის მაგიერ სამი ხელი უნდა; ამ ნაირად რომელიმე ნოტი თუ წერტილიანია, იმ ნოტს ყოველთვის ნახევარი კიდევ ემატება და გაგრძელებაც ამ ნაირს ნოტებს ნახევრით მეტი უნდა.

## ნოტების საზომები. (ტემპი, ანუ კადანსი).

ნოტების საზომები არიან სამუსიკო ნიშნები, ხმარებულნი საგალობლებში.

საგალობლები იწერებიან სხვა-და-სხვა ზომებით, რომელნიც იხატებიან ასე:




ეს ნიშნები იწერებიან საგალობლების თავში, შემდგომ გასაღებისა და გვიჩვენებენ, რა ზომით უნდა ასრულდეს გალობა.

## გერგილი. (ტაკტი.)

ოთხჯერ, ანუ ნაკლებ ხელის დაქნევა-აქნევა შეადგენს გერგილს, ანუ ტაკტს. ერთი გერგილი მეორესაგან განიყოფება შვეული ხაზებით, ასე:




თუ დაბლა ხაზებზედ იწერება ნოტები, მაშინ ქიმის ხაზი (ანუ ფეხი) იმ ნოტებს ზევითკენ ექნება და თუმც მაღალ ხაზებზედ იწერება ნოტები, იმ შემთხვევაში ქიმის ხაზები, ანუ ფეხები ქვევითკენ უნდა ასე:




ამ საზომის ნიშანს— [ უწოდებენ ოთხ ხელიან გერგილის საზომავს, იმისთვის რომ, თუ ეს ნიშანი სა-

გალობელის თავშია, მაშინ თითო გერგილში არის ოთხ-ოთხი მეოთხედი და ეს საგალობელი იგალობება ოთხჯერ ხელის დაქნევ-აქნევით, ისე რომ ორჯელ ხელი დაბლა უნდა დააქნიო, მესამე მარჯვნივ და მეოთხე—მარცხნივ, ამით გათავდება ერთი ოთხ-ხელიანი გერგილი; მაგრამ ხელი უნდა დააქნიო თანაბარი ზომით, რომ მეტნაკლები დრო არ გავიდეს თვითეულის ხელის გაქნევაში,—ასე: 

თუ—$^3/_4$ ეს ნიშანი ზის ნოტების თავში, მაშინ თითო გერგილში არის სამი მეოთხედი და ზომა უნდა მისცე სამჯერ ხელის აქნევ-დაქნევით, ერთი ხელი დაბლა დაიქნიე, მერე მარჯვნივ და მესამე მარცხნივ თანაბრის ზომით, ასე: 

თუ ორ-ხელიანი ნიშანი, ეს—$^2/_4$ ექნება საგალობელს, მაშინ თითო გერგილშიდ არის ორი მეოთხედი და საგალობელიც იგალობება ორი ხელის ქნევის ზომით, ერთი ხელი დაბლა უნდა გაიქნიო და მეორე მარცხნივ, ასე: 

არის კიდევ საზომავი ნიშანი, ამ ნაირი: 𝄴, როდესაც ეს ნიშანი ზის, მაშინ თითო გერგილში არის ოთხი მეოთხედი, მაგრამ ეს ოთხი მეოთხედი უნდა გაიყვანო ორი ხელის დაქნევით და არა ოთხი ხელის აქნევ-დაქნევით:

## ხმით გაგრძელება ნოტებისა.

მთელ ნოტს—O აქვს ოთხი მეოთხედი და სანამ ოთხჯერ თანასწორი ხელის დაქნევ-აქნევა არ გათავდება, მანამ უნდა უგძელებდე ხმით, ამ მთელ ნოტს. ნახევარ ნოტს—𝅗𝅥 აქვს ორი მეოთხედი და სანამ ორი ხელის დაქნევა არ გათავდება, მანამ უნდა უგძელებდე ხმით ამ ნახევარს. მეოთხედ ნოტს ამას ♩ აქვს ერთი ხელი და ერთჯერ ხელის გაქნევაში უნდა გათავდეს. მერვედს ამას ♪—აქვს ნახევარი ხელი და ერთი ხელის გაქნევაში ორი მერვედი უნდა გათავდეს და ამ ნაირად, რაც ნო-

ტი პატარა არის, ის უფრო ჩქარა საგალობელია და რაც მეტია, იმას მეტი გაგძრელება უნდა ხმით. არ დაივიწყო, რომ ხელის ქნევა უნდა იყოს თანაბარი (ანუ თანასწორი): რა ზომითაც დაიწყებ ხელის ქნევას, იმ ზომითვე უნდა გაათავო საგალობელი.

### ნოტების საცვლელი ნიშნები.

ნოტების საცვლელი ნიშნები არიან სამუსიკო ნიშნები, სახმარებელნი გალობაში, რომელთა აქვთ ამნაირი სახე: ♯ ♭ ♮ პირველი ამ ნიშნებთაგანი არის ასამაღლებელი ნიშანი, მეორე არის დასამდაბლებელი ნიშანი და მესამე უარ საყოფელი. როდესაც პირველი ამ ნიშნებთაგანი, რომელსაც ჰქვია «დიეზ», უზის ნოტს წინ, ან დაწყებაშიდ, მაშინ ის ნოტი უნდა აიღო ნახევარის ხმით მაღლა. თუ მეორე ნიშანი (რომელსაც ჰქვია «ბემოლი»,) უზის ნოტს, მაშინ ნახევარის ხმით დაბლა უნდა აიღო ის ნოტი და როდესაც მესამე ნიშანთაგანი, (რომელსაც ჰქვია «ბეკკარ», ანუ «ატკაზ») შეგხვდებათ საგალობელშიდ, მაშინ არც მაღლა უნდა აიღო და არც დაბლა.

### ბანის გასაღები.

საერთო გასაღების შემწეობით შეუძლია იგალობოს მაღალმა ბანმა (ტენორმა), ზილმა (ალტმა) და წვრილმა (დისკანტმა), ბანს კი აქვს საკუთარი გასაღები, ეს:  რომელიც (ბანი) ვალდებულია შეისწავლოს ამ ფა. გასაღების ნოტები ზეპირად.

### კამერტონი.

კამერტონი არის ხმის მისაგნებელი იარაღი, რომელიც უჩვენებს მგალობელს—რომელის ხმით უნდა დაიწყოს მან რომელიმე საგალობ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი: მაღლის, დაბლის, თუ საშუალოს ხმით. კამერტონი არის ამ სა-ხის:



კამერტონი იხმარება ამ ნაირად: ტარზე უნდა მოჰკიდო ხელი და დაჰკრა რაზედმე, რომელიც გაუშვებს ხმას. კამერტონები არიან ორ ხმოვანნი, ზოგნი გაუშვებენ ნოტის „ლა"-ს ხმას და ზოგნი მაღალ „დო"-ს ხმას; ერთს მეორისაგან გამოიცნობ მით, რომ თუ კამერტონს ტარზედ აქვს დასმული ასო ,,a'', ის კამერტონი იქნება ,,ლა''-ს ხმისა და თუ ,,c'' აწერია, მაშინ ის კამერტონი იქნება მაღალი ,,დო''-ს, ხმისა, ამ ხმებით მიაგნებ იმ ნოტის ხმას, რომლის ნოტის ხმითაც უნდა დაიწყო საგალობელი.

## ხმის გადასასვლელები (ინტერვალი).

ერთი ხმიდან სხვა და სხვა ხმაზე გადასვლა იწოდება ინტერვალად. ინტერვალები არიან შემდეგნი:

1)—პრიმა არის დო და დო, ანუ რე და რე და სხვა.
2)—სეკუნდა—დოდან რეზე გადასვლა.
3)— ტერცია—დოდან მიზე ,,
4)—კვარტა—დოდან ფაზე ,,
5)—კვინტა—დოდან სოლზე ,,
6)—სეკსტა—დოდან ლაზე ,,
7)—სეპტიმა—დოდან სიზე ,,
8)—ოკტავა—დაბალ დოდან, მაღალ დოზე გადასვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაგალითები:

პრიმა სეკუნდა ტერცია კვარტა კვინტა სექსტა სეპტიმა ოკტავა



დო დო დო რე დო მი დო ფა დო,სოლ დო ლა დო სი დო დო

ქვემო დაწერილნი ნოტები არიან ზეპირ დასასწავლნი, ბეჯითად უნდა შეისწავლოს მოსწავლემ, თუ რომელი ნოტი რომელ ხაზზედ არის

თითო ამათგანი არის ოთხხელიანი ნოტი:



დოოოო რეეეე მიიიი ფაააა სოლ--- ლაააა სიიიი დოოოო

თითო ნოტი ორხელიანი, ზემო მოხსენებული მთელი ნოტის ნახევარი:



დოო რეე მიი ფაა სოლ--ლაა სიი დოო რეე მიი ფაა

თითო ნოტი თითო ხელიანი მეოთხედი მთელი ნოტის:



დო რე მი ფა სოლ,ლა სი დო რე დო სი ლა,სოლ ფა მი რე დო

თითო ნოტი მთელი ნოტის მერვედი:



დოდო რე რე მი მი ფა ფა სოლ,სოლ. ლა,ლა. სი,სი.დო,დო რე რე

მთელი ნოტის მეთექვსმეტედი ნაწილები:



დოდოდოდო. რე,რე,რე,რე, მი,მი,მი,მი. ფაფაფაფა, სოლ-სოლ. ლა--ლა,სი,სი,სი,სი




ვარჯიშობა ნოტების კითხვაში.
თვითონ მოსწავლემ უნდა მისცეს ხელი გალობის დროს.




ნოტს რამდენიც ო აქვს მოწერილი ქვეშ იმდენი ხელი აქვს



ეროვნული ბიბლიოთეკა




დო რე მი ფა დო ფა მი რე დო ფა
დო ფა ფა დო ფა ფა დო ფა
დო რე დო მი დო ფა დო რე რე მი დო ფა
დო რე მი ფა სოლ ფა მი რე დო
დო რე მი ფა სოლ დო სოლ ფა მი რე დო სოლ
დო სოლ სოლ დო დო სოლ დო სოლ
დო რე დო მი დო ფა დო სოლ
დო მი რე ფა მი სოლ


დო რე მი ფა სოლ ლა სოლ ფა მი რე დო
დო რე მი ფა სოლ ლა დო ლა ლა დო
დო ლა ლა დო დო ლა დო ლა
დო რე დო მი დო ფა დო სოლ დო ლა
დო რე მი ფა სოლ ლა სი ლა სოლ ფა მი რე დო
დო რე მი ფა სოლ ლა სი დო სი სი დო სი
დო მი რე ფა მი სოლ ფა ლა სოლ სი ლა დო
დო მი რე ფა მი სოლ ფა ლა სოლ სი ლა დო

FS 1320
F 2/4




## ნოტები წერტილებით




რე დო ლა სოლ ფა მი რე დო
დო რე მი ფა სოლ ლა სი დო რე
რე დო სი ლა სოლ ფა მი რე დო
დო რე მი ფა სოლ ლა სი დო
დო რე მი ფა სოლ ლა სი დო რე
დო მი რე ფა მი სოლ ფა ლა სოლ სი დო
დო ლა სი სოლ ლა ფა სოლ მი ფა რე დო
დო მი რე ფა მი სოლ ფა ლა სოლ სი დო




ზეპირ ვარჯიშობა.




2/4
3/4

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

წინათ ნათქვამია, რომ არის ხუთი გასაღები: საერთო ხმის, ბანის, მაღალი ბანის, ზილის და წვრილის; პირველი ამათ-განი — საერთო ხმის გასაღები ნოტები და მათში ვარჯიშობა დაწერილნი არიან, ხოლო დანარჩენი ოთხი ხმა იწერება აქ:




აქ ზემო მოხსენებულ ხმებმა — ბანმა, მაღალმა ბანმა, ზილმა და წვრილმა უნდა შეისწავლონ ზეპირათ თავთავის ნოტები, ხოლო ვარჯიშობა შეუძლიანთ საერთო გასაღების ნოტებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფასი 60 კაპ.